„ვამტკიცებ“

რექტორი, ირინე შოთაძე

24.02.2021

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საგრანტო პროგრამა
„სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ მიზანია ბიომედიცინის, ბიოტექნოლოგიის, მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების, სამედიცინო განათლების და მათი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით:

ა) თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

დ) თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში;

ე) თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინიციირებული სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა.

1.2 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს თსა-ს საგრანტო პროგრამაში „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადის წარდგენის, განხილვის, შეფასებისა და მონიტორინგის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 **ანგარიში (შუალედური/საბოლოო)** - ინფორმაცია პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ.

2.2 **ახალგაზრდა მეცნიერი** - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელსაც მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მიენიჭა წინამდებარე საგრანტო პროგრამაში მონაწილეობამდე 7 წლის განმავლობაში და არის თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული); ასევე მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტი.

2.3 **აპლიკანტი** - საპროექტო განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირი, შეიძლება იყოს თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერი და სტუდენტი.

2.4 **ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტი** - თსა-ს რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც მონაწილეობს საპროექტო განაცხადების განხილვაში.

2.5 **ბიუჯეტი** - პროექტის განხორციელებისათვის მოთხოვნილი დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით.

2.6 **გრანტის გამცემი** - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია.

2.7 **გრანტის მიმღები** - აპლიკანტი, რომლის საპროექტო განაცხადი დაფინანსდა.

2.8 **დამხმარე პერსონალი** - პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების ტექნიკური საკითხების გადაჭრას. დამხმარე პერსონალი არის თსა-ს პერსონალი.

2.9 **ექსპერტი** - კონკრეტული სამეცნიერო მიმართულებით კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და/ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი; კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ექსპერტის სამეცნიერო პუბლიკაციებითა და/ან ბიოგრაფიული მონაცემებით.

2.10 **სამეცნიერო ხელმძღვანელი** - საპროექტო განაცხადის წარმდგენი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამავდროულად არის თსა-ს აკადემიური პერსონალი. სამედიცინო განათლების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს დარგობრივი, პროფესიული კომპეტენციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამავდროულად არის თსა-ს აკადემიური პერსონალი.

2.11 **მენტორი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამავდროულად არის თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული). სამედიცინო განათლების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემთხვევაში მენტორი შესაძლებელია იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, ან დარგობრივი, პროფესიული კომპეტენციის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

2.12 **მონიტორინგი** - პროექტის, მისი განხორციელებისა და პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგი, ანგარიშების განხილვა.

2.13 **პროექტი** - საპროექტო განაცხადით წარმოდგენილი იდეის დეტალური აღწერა თანდართული განსახორციელებელი აქტივობების გეგმა-გრაფიკითა და ბიუჯეტით.

2.14 **სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი** - თსა-ს რექტორის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც განიხილავს საპროექტო განაცხადებს და ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს.

2.15 **საგრანტო ხელშეკრულება** - თსა-სა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

2.16 **სამეცნიერო გუნდი** - ფიზიკური პირ(ებ)ი, რომლებიც მონაწილეობენ პროექტის განხორციელებაში. სამეცნიერო გუნდის წევრი შეიძლება იყოს თსა-ს პერსონალი (აკადემიური და/ან მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერი და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

2.17 **საპროექტო განაცხადი** - აპლიკანტის მიერ წარდგენილი პროექტი, რომელიც გაფორმებულია წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2.18 **სტუდენტი** - თსა-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე ფიზიკური პირი.

2.19 **შეფასების კრიტერიუმები** - საპროექტო განაცხადის შესაფასებლად წინამდებარე წესით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების მითითებით.

2.20 **ძირითადი პერსონალი** - გრანტის მიმღები ფიზიკური პირ(ებ)ი, რომელიც მონაწილეობს პროექტის განხორციელებაში და ასრულებს პროექტით განსაზღვრულ აქტივობებს. ძირითადი პერსონალი არის თსა-ს პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი, სტუდენტი.

მუხლი 3. საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ადმინისტრირება

3.1 საგრანტო პროგრამა „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ფინანსდება თსა-ს ბიუჯეტიდან.

3.2 საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ადმინისტრირებას ახორციელებს თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი.

3.3 თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) საგრანტო პროგრამის გამოცხადებას.

ბ) საგრანტო პროგრამის ჩატარების წესისა და საპროექტო განაცხადების ფორმის შემუშავებას, საპროექტო განაცხადების მიღების პირობების და ვადების დადგენას, მათ საჯაროდ გამოცხადებას, ასევე პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმის შემუშავებას.

გ) საგრანტო პროგრამის ფარგლებში ვადის დაცვით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფორმასთან შესაბამისობის დადგენას 3 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ოქმის გაფორმებით; საპროექტო განაცხადში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში აპლიკანტს 3 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მისი გამოსწორება.

დ) საპროექტო განაცხადების ბიოეთიკის საერთაშორისო და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტებისათვის განსახილველად და შესაფასებლად გადაცემას.

ე) ბიოეთიკის საერთაშორისო და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტების მიერ საპროექტო განაცხადების განხილვის შედეგების თსა-ს რექტორისათვის წარდგენას დასამტკიცებლად.

ვ) საგრანტო პროგრამის შედეგების გამოქვეყნებას.

ზ) საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობისათვის სტუდენტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას, ასევე სამეცნიერო საგრანტო კომიტეტთან და დაფინანსებული პროექტ(ებ)ის უფლებამოსილ წარმომადგენელ(ებ)თან სტუდენტური განაცხადების მიღების პირობების დადგენას და საჯაროდ გამოცხადებას.

თ) საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტების განაცხადების წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფორმასთან შესაბამისობის დადგენას 3 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ოქმის გაფორმებით; სტუდენტის განაცხადში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტს 3 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მისი გამოსწორება.

ი) სტუდენტების განაცხადების შესაბამისი პროექტის უფლებამოსილი წარმომადგენელისთვის და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრებისათვის განსახილველად და შესაფასებლად გადაცემას.

3.4 თსა-ს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის ფუნქციას, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, წარმოადგენს საპროექტო განაცხადების განხილვა და მათ ბიოეთიკურ ასპექტებზე დასკვნის მომზადება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.5 თსა-ს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის დასკვნა და ასევე რეკომენდაცია და/ან სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ფორმდება ოქმის სახით.

3.6 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის ფუნქციას, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, წარმოადგენს:

ა) საპროექტო განაცხადების განხილვა და შეფასება წინამდებარე წესით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

ბ) დასაფინანსებლად რეკომენდებული საპროექტო განაცხადების გამოვლენა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტისთვის წარდგენა მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

გ) საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობისათვის სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა პროექტის უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული სპეციფიკის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მოთხოვნებისა და წინამდებარე წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

დ) დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი წინამდებარე წესით განსაზღვრული მონიტორინგის პროცედურის შესაბამისად.

3.7 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებები, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ფორმდება ოქმის სახით.

3.8 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საპროექტო განაცხადების შესაფასებლად მოიწვიოს ექსპერტი.

3.9 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მისცეს პროექტის უფლებამოსილ წარმომადგენელს რეკომენდაცია საპროექტო განაცხადის გეგმა-გრაფიკისა და/ან ბიუჯეტის კორექტირების შესახებ.

3.10 თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოისმინოს პროექტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პრეზენტაცია საპროექტო განაცხადისა და თსა-ს ინსტიტუციური განვითარებისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 4. თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

4.1 წინამდებარე საგრანტო პროგრამის აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს თსა-ს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებას.

4.2 სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომლის ხელმძღვანელობითაც მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ვადა გახანგრძლივებულია პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად და/ან საბოლოო ანგარიშის განხილვის საფუძველზე სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ არ არის ჩათვლილი დასრულებულად, არ შეუძლია საპროექტო განაცხადის წარდგენა.

4.3 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6, 9 ან 12 თვე.
4.4 სამეცნიერო-კვლევით პროექტში სავალდებულოა მინიმუმ სამი სტუდენტის ჩართულობა. პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევა წარმოებს კონკურსის წესით წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.
4.5 სამეცნიერო-კვლევით პროექტში დამხმარე პერსონალის სტატუსით შესაძლებელია მაქსიმუმ 1 პირის ჩართვა.
4.6 პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები საკუთრებაში რჩება თსა-ს.
4.7 პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია თსა-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.
4.8 პროექტის განხორციელებისათვის დამატებით შესაძლებელია თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.
4.9 საპროექტო განაცხადის ჯამური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25,000.00 (ოდახუთი ათას) ლარს.
4.10 საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს და წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილი ფორმით:

ა) საგრანტო დაფინანსებას - სამეცნიერო ხელმძღვანელის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში საგრანტო დაფინანსება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2,000.00 (ორი ათას) ლარს; პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილე თსა-ს პერსონალის (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერის) შემთხვევაში ყოველთვიური საგრანტო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200.00 (ორას) ლარს, ხოლო ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება ჯამურად 6 თვიანი პროექტისათვის - 2,400.00 (ორი ათას ოთხას) ლარს, 9 თვიანი პროექტისათვის - 3,600.00 (სამი ათას ექვსას) და 12 თვიანი პროექტისათვის - 4,800.00 (ოთხი ათას რვაას) ლარს; სტუდენტის შემთხვევაში ყოველთვიური საგრანტო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100.00 (ასი) ლარს.

ბ) დამხმარე პერსონალის შრომით ანაზღაურებას - პროექტში დამხმარე პერსონალის სტატუსით მონაწილე თსა-ს პერსონალის შემთხვევაში შრომითი ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 300.00 (სამას) ლარს.

გ) ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების (აპარატურის, რეაქტივების, სახარჯი მასალების და ა.შ.) შეძენის და მომსახურების ხარჯებს;

დ) კვლევის შედეგების პუბლიკაციის ხარჯებს.

ხარჯვითი კატეგორია	**ერთეულის ღირებულება, ლარი**	**ჯამური ღირებულება, ლარი**
საგრანტო დაფინანსება		
დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურება		

ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებები (რეაქტივები, სახარჯი მასალები და ა.შ.)		
კვლევის შედეგების პუბლიკაცია		

4.11 სავალდებულოა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შედეგების სამეცნიერო სტატიის სახით გამოქვეყნება Google Scholar, Scopus, Web of Science, ERIH PLUS ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში.

4.12 სამეცნიერო სტატიაში სავალდებულოა მითითება: „კვლევა [პროექტის სათაური] მხარდაჭერილია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ფარგლებში / The article [Title] was supported in the frames of Petre Shotadze Tbilisi Medical Academy funding program “Facilitation of scientific-research activities”.

4.13 საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით ქართულად და ინგლისურად წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) საპროექტო განაცხადი (დანართი 1).

ბ) სამეცნიერო ხელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის (გარდა სტუდენტებისა) CV-ები.

4.14 საპროექტო განაცხადის შეფასება წარმოებს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 18 ქულა**
1. პროექტის თემის აქტუალობა და ინოვაციურობა				
2. სამეცნიერო ჰიპოთეზა				
3. კვლევის მიზნები და ამოცანები				
4. კვლევის მეთოდოლოგია				
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი				

სამეცნიერო/პრაქტიკული მნიშვნელობა				
6. სამეცნიერო ხელმძღვანელის/ძირითადი პერსონალის გამოცდილება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების კუთხით (მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში)				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 **B** – 2 **C** – 1 **საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 18.**				
შემაჯამებელი კომენტარი საპროექტო განაცხადის შესახებ:				

4.15 დასაფინანსებლად განიხილება 12 და მეტი ქულის შეფასების მქონე საპროექტო განაცხადები. დასაფინანსებლად შერჩეულ საპროექტო განაცხადს არც ერთ კრიტერიუმში არ უნდა ჰქონდეს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

4.16 წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შეფასება ხორციელდება სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრების/ექსპერტების მიერ ინდივიდუალურად. საპროექტო განაცხადის საბოლოო ქულა წარმოადგენს ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

4.17 სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებისა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული საპროექტო განაცხადების დამტკიცების შემდეგ გრანტის მიმღებსა და თსა-ს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

4.18 საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.

4.19 მონიტორინგის პროცედურა გულისხმობს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გრანტის მიმღების შუალედური/საბოლოო ანგარიშის წარდგენას წინამდებარე წესით განსაზღვრული ფორმით (დანართი 2).

4.20 პროექტის მონაწილე სტუდენტთა აქტივობის მონიტორინგის პროცედურა გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მათ მიერ შესრულებული აქტივობების შესახებ ინდივიდუალური პრეზენტაციების მომზადებას და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრებისათვის წარდგენას.

4.21 საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება 3 თვიანი ვადით.

4.22 6 თვიანი პროექტების შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის დასრულებისას გრანტის მიმღების მიერ ანგარიში წინამდებარე წესით განსაზღვრული პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიშის (დანართი 2) ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.
4.23 გრანტის მიმღებისათვის სავალდებულოა თსა-ს პედაგოგიური პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის საჯარო-პოპულარული ლექციის ჩატარება მისი სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და დაგეგმილი აქტივობების პრეზენტაციის მიზნით.
4.24 თსა უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს სამეცნიერო ხელმძღვანელის/გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
4.25 სამეცნიერო ხელმძღვანელის/გრანტის მიმღების მიერ ყალბი ინფორმაციის მიწოდების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში თსა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტისა და აღნიშნული სამეცნიერო ხელმძღვანელის/გრანტის მიმღების თსა-ს საგრანტო პროგრამებში შემდგომი მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ.

მუხლი 5. ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

5.1 საგრანტო პროგრამის აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს ახალგაზრდა მეცნიერთა/სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებას.
5.2 ახალგაზრდა მეცნიერი უნდა იყოს თსა-ს პერსონალი (აკადემიური და მოწვეული). თუკი ახალგაზრდა მეცნიერი ამავდროულად არის საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრანტი ან დოქტორანტი, წინამდებარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში მის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ უნდა მოიცავდეს მის სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომს და/ან მის ნაწილს.
5.3 სტუდენტი უნდა იყოს თსა-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
5.4 ახალგაზრდა მეცნიერს/სტუდენტს უნდა ჰყავდეს მენტორი.
5.5 ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო-კვლევით პროექტში სავალდებულოა მინიმუმ ერთი სტუდენტის ჩართულობა. პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევა წარმოებს კონკურსის წესით წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.
5.6 სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6 თვე; ახალგაზრდა მეცნიერის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6, 9 ან 12 თვე.
5.7 პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები საკუთრებაში რჩება თსა-ს.
5.8 პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია თსა-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.
5.9 პროექტის განხორციელებისათვის დამატებით შესაძლებელია თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება.
5.10 სტუდენტის საპროექტო განაცხადის ჯამური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 2,500.00 (ორი ათას ხუთას) ლარს; ახალგაზრდა მეცნიერის საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 7,000.00 (შვიდი ათას) ლარს.

5.11 საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს და წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოყვანილი ფორმით:

ა) ყოველთვიურ სტიპენდიას (სტუდენტის შემთხვევაში ყოველთვიური სტიპენდიის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100.00 (ასი) ლარს, ხოლო ახალგაზრდა მეცნიერის შემთხვევაში ყოველთვიური სტიპენდიის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარს);

ბ) ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების (აპარატურის, რეაქტივების, სახარჯი მასალების და ა.შ.) შეძენის და მომსახურების ხარჯებს;

გ) კვლევის შედეგების პუბლიკაციის ხარჯებს.

ხარჯვითი კატეგორია	**ერთეულის ღირებულება, ლარი**	**ჯამური ღირებულება, ლარი**
სტიპენდია		
ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებები (რეაქტივები, სახარჯი მასალები და ა.შ.)		
კვლევის შედეგების პუბლიკაცია		

5.12 სავალდებულოა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შედეგების სამეცნიერო სტატიის სახით გამოქვეყნება Google Scholar, Scopus, Web of Science, ERIH PLUS ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში.

5.13 სამეცნიერო სტატიაში სავალდებულოა მითითება: „კვლევა [პროექტის სათაური] მხარდაჭერილია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ფარგლებში / The article [Title] was supported in the frames of Petre Shotadze Tbilisi Medical Academy funding program “Facilitation of scientific-research activities”.

5.14 საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტის მიერ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით ქართულად და ინგლისურად წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) საპროექტო განაცხადი (დანართი 3).

ბ) აპლიკანტის და მენტორის CV.

5.15 საპროექტო განაცხადის შეფასება წარმოებს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 18 ქულა**

1. კვლევის აქტუალობა და ინოვაციურობა				
2. სამეცნიერო ჰიპოთეზა				
3. კვლევის მიზნები და ამოცანები				
4. კვლევის მეთოდოლოგია				
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი სამეცნიერო/პრაქტიკული მნიშვნელობა				
6. აპლიკანტის გამოცდილება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების კუთხით (მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში)				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 **B** – 2 **C** – 1 **საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 18.**				
შემაჯამებელი კომენტარი საპროექტო განაცხადის შესახებ:				

5.16 დასაფინანსებლად განიხილება 12 და მეტი ქულის შეფასების მქონე საპროექტო განაცხადები. დასაფინანსებლად შერჩეულ საპროექტო განაცხადს არც ერთ კრიტერიუმში არ უნდა ჰქონდეს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

5.17 წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შეფასება ხორციელდება სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრების/ექსპერტების მიერ ინდივიდუალურად. საპროექტო განაცხადის საბოლოო ქულა წარმოადგენს ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

5.18 სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებისა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ

დასაფინანსებლად შერჩეული საპროექტო განაცხადების დამტკიცების შემდეგ გრანტის მიმღებსა და თსა-ს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

5.19 საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტების პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.

5.20 მონიტორინგის პროცედურა გულისხმობს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გრანტის მიმღების შუალედური/საბოლოო ანგარიშის წარდგენას წინამდებარე წესით განსაზღვრული ფორმით (დანართი 4).

5.21 საანგარიშო პერიოდი განისაზღვრება 3 თვიანი ვადით.

5.22 6 თვიანი პროექტების შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის დასრულებისას გრანტის მიმღების მიერ ანგარიში წინამდებარე წესით განსაზღვრული პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიშის (დანართი 4) ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.

5.23 გრანტის მიმღებისათვის სავალდებულოა თსა-ს პედაგოგიური პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის საჯარო-პოპულარული ლექციის ჩატარება მისი სამეცნიერო კვლევის შედეგებისა და დაგეგმილი აქტივობების პრეზენტაციის მიზნით.

5.24 თსა უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს აპლიკანტის/გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

5.25 აპლიკანტის/გრანტის მიმღების მიერ ყალბი ინფორმაციის მიწოდების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში თსა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტისა და აღნიშნული აპლიკანტის/გრანტის მიმღების თსა-ს საგრანტო პროგრამებში შემდგომი მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ.

მუხლი 6. თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში

6.1 საგრანტო პროგრამა აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობას.

6.2 სამეცნიერო სტატიის პირველი და საკორესპონდენციო ავტორი უნდა იყოს თსა-ს პერსონალი (ადმინისტრაციული, აკადემიური და/ან მოწვეული) და/ან სტუდენტი.

6.3 სამეცნიერო სტატიის პირველი და საკორენპონდენციო ავტორის ორმაგი აფილირების შემთხვევაში პირველ პოზიციაზე მითითებული უნდა იყოს აფილირება თსა-სთან.

6.4 სამეცნიერო სტატიას შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 8 (რვა) ავტორი.

6.5 საგრანტო პროგრამის აღნიშნული ინსტრუმენტი გულისხმობს მხოლოდ Google Scholar, Scopus, Web of Science, ERIH PLUS ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ხარჯების ანაზღაურებას.

6.6 ინფორმაცია სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ხარჯების შესახებ უნდა იყოს საჯარო; კერძოდ, ის მითითებული უნდა იყოს ჟურნალის ვებ-გვერდზე.

6.7 საგრანტო პროგრამის აღნიშნული ინსტრუმენტი არ გულისხმობს სამეცნიერო სტატიის თარგმანისა და რედაქტირების, ასევე დაჩქარებული წესით პუბლიკაციის ხარჯების ანაზღაურებას.

6.8 საგრანტო პროგრამის აღნიშნული ინსტრუმენტის ადმინისტრირებას ახორციელებს თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი.

6.9 თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) განაცხადის განხილვას

ბ) თსა-ს ბიბლიოთეკასთან კონსულტაციას აპლიკანტის მიერ შერჩეული გამომცემლობის/ჟურნალის სარწმუნოების საკითხებზე;

გ) აპლიკანტისათვის შედეგის გამოცხადებას განაცხადის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.10 საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტის მიერ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge, წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) სამეცნიერო სტატია;

ბ) ინფორმაცია სამეცნიერო ჟურნალის შესახებ, რომელშიც იგეგმება სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება;

გ) ინფორმაცია სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციის ხარჯების ოდენობის შესახებ.

მუხლი 7. თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინიციირებული სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა

7.1 სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა გულისხმობს თსა-ს ბაზაზე კონფერენციის, სეზონური სკოლის, ტრენინგის, დებატების, მასტერ-კლასის ან კომბინირებული ღონისძიების ორგანიზებას და ჩატარებას.

7.2 საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს აპლიკანტის მიერ ინდივიდუალურად ან სამეცნიერო გუნდის სახელით.

7.3 სტუდენტის მიერ საპროექტო განაცხადის წარდგენისას სავალდებულოა მენტორის არსებობა.

7.4 სეზონური სკოლის შემთხვევაში სასწავლო აქტივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 18 სთ-ით.

7.5 საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) საქონელი და მომსახურება - მოიცავს სამეცნიერო ღონისძიების მონაწილეთა ყავა-შესვენებების ხარჯებს, საკანცელარიო ხარჯებს.

7.6 საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აპლიკანტის მიერ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით ქართულად და ინგლისურად წარმოდგენილი უნდა იყოს წინამდებარე წესით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად გაფორმებული საპროექტო განაცხადი (დანართი 5) და აპლიკანტის/სამეცნიერო გუნდის პროფესიული ბიოგრაფია (CV).

7.7 საპროექტო განაცხადის დაფინანსების შემთხვევაში სავალდებულოა სამეცნიერო ღონისძიების ყველა მასალაზე პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ლოგოს განთავსება და მითითება: „[სამეცნიერო ღონისძიების სათაური] მხარდაჭერილია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ფარგლებში / [Title of the scientific event] was supported in the frames of Petre Shotadze Tbilisi Medical Academy funding program "Facilitation of scientific-research activities".

7.8 საპროექტო განაცხადის შეფასება წარმოებს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 24 ქულა**
1. სამეცნიერო ღონისძიების იდეა				
2. სამეცნიერო ღონისძიების მნიშვნელობა თსა-სთვის				
3. სამეცნიერო ღონისძიების/იდეის აქტუალობა და სიახლე				
4. სამიზნე ჯგუფის აღწერა, სამიზნე ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმები				
5. სამეცნიერო ღონისძიების განხორციელების მეთოდები და გეგმა-გრაფიკი				
6. მოსალოდნელი შედეგები და სამეცნიერო ღონისძიების შემდგომი განვითარების შესაძლებლობა				
7. აპლიკანტის პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა დადგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებასთან				
8. ბიუჯეტი				

თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 (საპროექტო განაცხადი სრულად შეესაბამება კრიტერიუმს) **B** – 2 (საპროექტო განაცხადი ნაწილობრივ შეესაბამება კრიტერიუმს) **C** – 1 (საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება კრიტერიუმს) **საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური ქულა არის 24.**
შემაჯამებელი კომენტარი საპროექტო განაცხადის შესახებ:

7.9 დასაფინანსებლად განიხილება 16 და მეტი ქულის შეფასების მქონე საპროექტო განაცხადები. დასაფინანსებლად შერჩეულ საპროექტო განაცხადს არც ერთ კრიტერიუმში არ უნდა ჰქონდეს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.
7.10 წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შეფასება წარმოებს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრების/ექსპერტების მიერ ინდივიდუალურად. საპროექტო განაცხადის საბოლოო ქულა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს წარმოადენს.
7.11 სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებისა და თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული საპროექტო განაცხადების დამტკიცების შემდეგ გრანტის მიმღებსა და თსა-ს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.
7.12 საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ თსა ავანსად განახორციელებს გრანტის მიმღების ხარჯების ანაზღაურებას მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
7.13 საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო ღონისძიება“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.
7.14 მონიტორინგის პროცედურა გულისხმობს სამეცნიერო ღონისძიების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ანგარიშის წარმოდგენას წინამდებარე წესით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად (დანართი 6).
7.15 ანგარიში თანდართული უნდა იყოს სამეცნიერო ღონისძიების ამსახველი დოკუმენტაციით (პროგრამა, სამეცნიერო მოხსენებები, სასწავლო აქტივობების განრიგი და ა.შ.).
7.16 თსა უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს აპლიკანტის/გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
7.17 აპლიკანტის / გრანტის მიმღების მიერ ყალბი ინფორმაციის მიწოდების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში თსა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეწყვეტისა და აღნიშნული აპლიკანტის / გრანტის მიმღების თსა-ს საგრანტო პროგრამებში შემდგომი მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ.

მუხლი 8. სტუდენთა შერჩევა პროექტში მონაწილეობისათვის

8.1 პროექტში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევა წარმოებს კონკურსის წესით.

8.2 კონკურსში მონაწილეობა თსა-ს ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია, რომლის GPA აღემატება 2-ს.

8.3 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე research@tma.edu.ge გადმოგზავნით ან ამ კონკურსისთვის გენერირებულ ონლაინ ფორმით უნდა წარმოადგინოს ქართულად და ინგლისურად:

ა) სამოტივაციო წერილი (დანართი 7).

ბ) CV.

8.4 კონკურსში მონაწილე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი პროექტის უფლებამოსილი წარმომადგენელი და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი.

8.5 სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

კრიტერიუმები	C	B	A	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
	1	2	3	**მაქსიმუმ 12 ქულა**
1. სამოტივაციო წერილის შინაარსობრივი ღირებულება				
2. სტუდენტის პოზიციის მკაფიო ფორმულირება				
3. გრამატიკული და ენობრივი გამართულობა				
4. ტექსტის მოცულობის მიმართ არსებული მოთხოვნის დაცვის უნარი				
თითოეული კრიტერიუმის შეფასების სქემა: **A** – 3 **B** – 2 **C** – 1 **ჯამური მაქსიმალური ქულა არის 12.**				
შემაჯამებელი კომენტარი:				

8.6 პროექტში ჩასართავად განიხილება 8 და მეტი ქულის შეფასების მქონე სტუდენტის განაცხადი. პროექტში ჩასართავად შერჩეული სტუდენტის განაცხადს არც ერთ კრიტერიუმში არ უნდა ჰქონდეს მიღებული C (1 ქულა) შეფასება.

8.7 სტუდენტის განაცხადის შეფასება ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის წევრების მიერ ინდივიდუალურად. სტუდენტის განაცხადის საბოლოო ქულა წარმოადგენს ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

მუხლი 9. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

9.1 პროექტის შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები არ ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან არღვევს პროექტის განხორციელების პირობებს. ასევე დაფინანსება შესაძლებელია შეწყდეს გრანტის მიმღების ინიციატივით. აღნიშნული შემთხვევა განიხილება სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
9.2 სამეცნიერო საგრანტო კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილება. სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირით შესაძლებელია სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადების საფუძველზე და/ან მისი მიზეზით პროექტის ან მისი კონკრეტული ამოცან(ებ)ისა და აქტივობ(ებ)ის განუხორციელებლობის შემთხვევაში.
9.3 პროექტი ჩაითვლება დასრულებულად გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების, საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გათვალისწინებული პირობების შესრულებისა და გრანტის მიმღების მიერ საბოლოო ანგარიშის წარდგენის შემდგომ.
9.4 გრანტის გამცემი არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში მიღებულ შედეგებზე.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

საგრანტო პროგრამის „სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა“ ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის შეფასებისა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის პროცედურებისათვის მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის ზოგადი პრინციპები.

მუხლი 11. შედეგების გასაჩივრების პროცედურები

11.1 აპლიკანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს რექტორთან საპროექტო განაცხადის შეფასების შედეგები.
11.2 გრანტის მიმღები უფლებამოსილია გაასაჩივროს რექტორთან პროექტის განხორციელებისას თსა-ს სამეცნიერო საგრანტო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ.
11.3 აპლიკანტის / გრანტის მიმღების საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს ოფიციალურად.
11.4 რექტორი უფლებამოსილია განიხილოს საჩივართან მიმართებით შესაბამისი თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო საგრანტო და ბიოეთიკის

საერთაშორისო კომიტეტების, გრანტის მიმღების / აპლიკანტის, ან/და სხვა მოწვეული პირების მოსაზრებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.
11.5 რექტორის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ბრძანების ფორმით, რომელიც შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე წესი ძალაში შედის თსა-ს რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
12.2 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა მათი მიღების გზით ხორციელდება.
12.3 წინამდებარე წესი ჩაითვლება ძალადაკარგულად ახალი წესის დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

საპროექტო განაცხადი - სათაური

1) **პროექტის თემის აქტუალობა და ინოვაციურობა** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

2) **სამეცნიერო ჰიპოთეზა** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 50)

3) **კვლევის მიზნები და ამოცანები** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

4) **კვლევის მეთოდოლოგია** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

5) **კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი სამეცნიერო და/ან პრაქტიკული მნიშვნელობა** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

6) **ბიუჯეტი** (გთხოვთ, შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი)

ხარჯვითი კატეგორია	ერთეულის ღირებულება, ლარი	ჯამური ღირებულება, ლარი
საგრანტო დაფინანსება		
დამხმარე პერსონალის შრომითი ანაზღაურება		
ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებები (რეაქტივები, სახარჯი მასალები და ა.შ.)		
კვლევის შედეგების პუბლიკაცია		

7) **ბიუჯეტის დასაბუთება** (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

8) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (Ghant გრაფიკი)

Project Proposal - Title

1) **Actuality and innovation of the project theme/topic**
recommended number of words – 200

2) **Scientific hypothesis**
recommended number of words – 50

3) **Research aims and goals**
recommended number of words – 200

4) **Research methodology**
recommended number of words – 200

5) **Expected results, their scientific and/or practical value**
recommended number of words – 200

6) **Budget** (please, fill in the table given below)

Budget category	Cost per item, GEL	Total cost, GEL
Grants		
Salary for technical personnel		

Facilities required for laboratory work (reagents, consumables, and etc.)		
Publication costs		

7) **Budget justification**

recommended number of words – 200

8) **Project realization timeframe** (Ghant chart)

დანართი 2

თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების შუალედური ანგარიში

პროექტის სათაური:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროექტის ხანგრძლივობა:

პროექტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები:

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში

პროექტის სათაური:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროექტის ხანგრძლივობა:

პროექტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები:

განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები:
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

პროექტის სამეცნიერო/პრაქტიკული მნიშვნელობა (SWOT ანალიზი):
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400

თვითშეფასება - რამდენად მნიშვნელოვანი იყო პროექტი სამეცნიერო ხელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის კარიერული განვითარებისათვის
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

პროექტის განვითარების პერსპექტივები
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

დანართი 3

ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

საპროექტო განაცხადი - სათაური

1) **კვლევის აქტუალობა და ინოვაციურობა**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

2) **სამეცნიერო ჰიპოთეზა**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 50

3) **კვლევის მიზნები და ამოცანები**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

4) **კვლევის მეთოდოლოგია**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

5) **კვლევის მოსალოდნელი შედეგები, მათი სამეცნიერო და/ან პრაქტიკული მნიშვნელობა**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

6) **ბიუჯეტი** (გთხოვთ, შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი)

ხარჯვითი კატეგორია	**ერთეულის ღირებულება, ლარი**	**ჯამური ღირებულება, ლარი**
სტიპენდია		
ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებები (რეაქტივები, სახარჯი მასალები და ა.შ.)		
კვლევის შედეგების პუბლიკაცია		

7) **ბიუჯეტის დასაბუთება**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

8) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (Ghant გრაფიკი)

Project Proposal - Title

1) **Actuality and innovation**

(recommended number of words – 200)

2) **Scientific hypothesis**

recommended number of words – 50

3) **Research aims and goals**

recommended number of words – 200)

4) **Research methodology**

recommended number of words – 200

5) **Expected results, their scientific and/or practical value**

recommended number of words – 200

6) **Budget** (please, fill in the table given below)

Budget category	**Cost per item, GEL**	**Total cost, GEL**
Stipendium		

Facilities required for laboratory work (reagents, consumables, and etc.)		
Publication costs		

7) **Budget justification**

recommended number of words – 200

8) **Project realization timeframe** (Ghant chart)

დანართი 4

ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების შუალედური ანგარიში

გრანტის მიმღები:

მენტორი:

პროექტის სათაური:

პროექტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები:

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში

გრანტის მიმღები:

მენტორი:

პროექტის სათაური:

პროექტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები:

განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები:
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

პროექტის სამეცნიერო/პრაქტიკული მნიშვნელობა (SWOT ანალიზი):
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400

თვითშეფასება - რამდენად მნიშვნელოვანი იყო პროექტი გრანტის მიმღების კარიერული განვითარებისათვის
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

პროექტის განვითარების პერსპექტივები
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

დანართი 5

თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინიციირებული სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა

საპროექტო განაცხადი - სათაური

სამეცნიერო ღონისძიება	
სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების სავარაუდო თარიღი	
გრანტის მიმღები (სახელი, გვარი)	

აბსტრაქტი
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300

1. **სამეცნიერო ღონისძიების იდეის აღწერა**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

2. **სამეცნიერო ღონისძიების მნიშვნელობა თსა-სთვის**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

3. **სამეცნიერო ღონისძიების/იდეის აქტუალობა და სიახლე**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

4. **სამიზნე ჯგუფის აღწერა, სამიზნე ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმები**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

5. **სამეცნიერო ღონისძიების განხორციელების მეთოდები და გეგმა-გრაფიკი** (Ghant chart)

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

6. **მოსალოდნელი შედეგები და სამეცნიერო ღონისძიების შემდგომი განვითარების შესაძლებლობა**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

7. **აპლიკანტის პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობა დადგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებასთან**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

8. **ბიუჯეტი**

წარმოდგენილი ცხრილი ნიმუშია, შესაძლებელია მისი მოდიფიცირება

ხარჯვითი კატეგორია	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
საქონელი და მომსახურება		

Project Proposal - Title

Scientific event	
Proposed date of the scientific event	
Grant recipient (Name, Family name)	

Abstract

Recommended number of words - 300

1. **Description of the scientific event concept/idea**

Recommended number of words - 200

2. **Importance of scientific event for TMA**

Recommended number of words - 200

3. **Actuality and novelty of scientific event/idea**

Recommended number of words - 200

4. **Target group, criteria for inclusion in target group**

Recommended number of words - 200

5. **Methods and timetable (Ghant chart) of scientific event realization**

Recommended number of words - 200

6. **Expected results and possibility of scientific event further development**

Recommended number of words - 200

7. **Compliance of applicant's professional competency with planned scientific event**

Recommended number of words - 200

8. **Budget**

The present table is an example; it can be modified

Budget category	Cost per item	Total cost
Goods and services		

დანართი 6

თსა-ს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული), ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინიციირებული სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა

პროექტის განხორციელების საბოლოო ანგარიში

სამეცნიერო ღონისძიება:

გრანტის მიმღები:

პროექტით განსაზღვრული მიზნები:

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

სამეცნიერო ღონისძიების მნიშვნელობა (SWOT ანალიზი):

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400

სამეცნიერო ღონისძიების სამიზნე ჯგუფი - ანალიზი:
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

პროექტის განვითარების პერსპექტივები
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200

დანართი 7

სტუდენთა შერჩევა პროექტში მონაწილეობისათვის

სტუდენტის სამოტივაციო წერილი

1) **პერსონალური ინფორმაცია - წარმოადგინეთ თქვენი თავი**

2) **მიუთითეთ თქვენთვის საინტერესო პროექტი**

3) **განმარტეთ რატომ არის აღნიშნული პროექტი თქვენთვის საინტერესო**
სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 100

4) **დაასაბუთეთ რომ გაქვთ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობისათვის საკმარისი კომპეტენცია**

სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 100

5) **წარმოადგინეთ გეგმა თუ რას განახორციელებთ პროექტის ფარგლებში** *სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 100*

Student's Motivation Letter

1) **Personal information – present yourself**

2) **Indicate the project, which is interesting for you**

3) **Explain why this project is interesting for you**
recommended number of words – 100

4) **Justify that you have enough competence to participate in the project**

recommended number of words – 100

5) **Present your plan of participation in the project**

recommended number of words – 100